

**მეცყვედების წრის ზმნები ოთხთავის  
ქართულ ვერსიებში  
The Verbs of Saying in the Georgian Versions  
of the Four Gospels**

**ლელა ციხელაშვილი  
Lela Tsikhelashvili**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტაჲდ მეცნიეეებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities*

**საკვანძო სიტყვები:** სახარების ქართული ვერსიები,  
მეცყვედების წრის ზმნები  
**Keywords:** Georgian versions of the Four Gospels, verbs of saying

სახარების ტექსტისთვის დამახასიათებელია *მეგყველების* წრის (*verba dicendi*) ერთი ან ორი ზმნის პირიანი თუ უპირო ფორმის (აქტიური მიმღეობის) გამოყენება პირდაპირი ნათქვამის წინ. ეს მოვლენა ებრა-იზმს წარმოადგენს, ნიშანდობლივია ძველი აღთქმის წიგნებისთვის (ამ შემთხვევაში *მეგყველების* წრის სამი ფორმაც იყრის თავს), ხოლო სეპტუაგინტის ბერძნულის გავლენით თავს იჩენს ახალ აღთქმაშიც (ბლასი და სხვ., 1961). ამ შემთხვევაში პლეონასტურად გამოიყენება *λέγω* („ვამბობ, ვყვები“) ზმნა აორისტში ან ამავე ზმნის ანმყო დროის აქტიური მიმღეობა *λέγων*, რომლებიც ისევე, როგორც სეპტუაგინტაში, მოსდევნ სამეტყველო აქტის ამსახველ ძირითად ზმნებს: *ἀποκρίνομαι* „ვუპასუხებ, მივუგებ“; *κράζω* „ვყვირი, ვლაღადებ“; *ἐπερωτάω* „ვეკითხები“; *λαλέω* „ვლაპარაკობ“ და სხვ.

ბერძნულში *მეგყველების* წრის აღნიშნული ფორმებიდან შეიძლება: ა) ერთი პირიანი ზმნა იყოს, მეორე – მიმღეობა (*ἀπεκρίνατο λέγων*] *μισηγο* ყოვედთა და *εγγορα*: [ლ. 3:16 CODERPsBTLFmGMhSci]; ბ) ორივე პირიანი ზმნით იყოს გადმოცემული (*καὶ ἠρώτησαν αὐτὸν καὶ εἶπαν*] *ჰკითხეს* მას და *ჰჩქუეს*: [ი. 1:25 CA<sup>4</sup>ODERPsBTLAFmGihv SclwtHIK...]; გ) ორივე წარმოადგენდეს მიმღეობას (*κράζοντες καὶ λέγοντες...*] *ლაღადებდეს* და *იგყოფეს*: [მ. 9:27 CDERPFHGHIK...]. თუ სეპტუაგინტის ძველ ქართულ თარგმანში (დაცულია ოშკისა (978-979 წწ.) და იერუსალიმის (XI ს.) ბიბლიების ნუსხებში) *λέγων* მიმღეობა პირიანი ზმნით გადმოდის, თარგმანის ულტრაელინოფილური/გელათური სტილით შესრულებულ გელათის კატენებიან ბიბლიაში (XII-XIII სს.), როგორც ზუსტ, ადეკვატურ თარგმანში, ეს უკანასკნელი სასუბიექტო მიმღეობითვე არის თარგმნილი (ციხელაშვილი, 2022). ოთხთავის როგორც წინაათონური პერიოდის, ისე გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციების ქართულ ხელნაწერებში კი *მეგყველების* წრის ორივე ფორმა ზმნის პირიანი ფორმითაა გადმოტანილი. ქართულში ამ ჯგუფის მიმღეობების ზმნის პირიანი ფორმებით თარგმნა იმითაა განპირობებული, რომ გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის შემდეგ (ე.წ. ქართული ვულგატა, XI საუკუნის შუა წლები) სახარება-ოთხთავის ახალი რედაქცია არ შექმნილა. ელინოფილურ პერიოდში ოთხთავის ტექსტის შემდგომი გადამუშავება ოდენ ეგზეგეტიკურ თხზულებებში გვხვდება და იგი მიზნად არ ისახავდა სახარების ახალი რედაქციის შექმნას. მიუხედავად ამისა, ინტერესმოკლებული არაა თეოფილაქტე ბულგარელის მიერ დაწერილი იოანესა და ლუკას სახარებების განმარტებების ულტრაელინოფილური სტილით შესრულებული ქართული თარგმანების კიმენის (სახარების ტექსტის) ენაზე დაკვირვება. როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძნული დედნის პლეონასტურად გამოყენებული *λέγων* მიმღეობა, ისევე როგორც სხვა მიმღეობები, ქარ-

თულ თარგმანებში მიმღებობებივთვა გადმოტანილი (თუმცა არა ყოველ-თვის), მაშინ როდესაც ოთხთავის სხვა რედაქციებში შესაბამის ადგილას პირიანი ზმნაა: *Kaί ἀποκριθεὶς ὁ ἄγγελος εἶπεν αὐτῷ ] მიუგო ანგედომან მან და ჰიქუა* [ლ. 1:19 CRPMFmGScltHIK...]. მან]-CF, შდრ.: და მიმგებდმან ანგედომან ჰიქუა მას; *κέκραγεν λέγων ] ლალად-ყო და თქუა:* [ი. 1:15 CA<sup>4</sup>ODERPsBTLAFmGHIK...]. ლალად-ყო CFHIK, შდრ.: ლალადება, მეტყუედი...

ბიბლიის ბერძნულის გავლენით, იგივე ენობრივი მოვლენა დასტურდება როგორც ბერძნულ სასულიერო მწერლობასა და მის ქართულ თარგმანებში (*b- წმიდამან ქისტინა ლალად-ყო და თქუა მამისა მიმახთ და თქუა:* [ქრისტ. 52:10-12]), ისე იშვიათად ორიგინალურ ქართულ ჰაგიოგრაფიაშიც (და *უთხია სპახსმან მან ფაჰუდად და ჰიქუა:* [შუშ. 14:20-21], *მიუგეს და ჰიქუეს მშობედთა მათთა:* [კოლ. 185:3]).

#### ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. რედ. (1964). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. თბილისი: „მეცნიერება“.
- ბლასი, ფ., დებრუნერი, ა. – Blass, F., Debrunner, A. (1961). *A Greek Grammar of the New Testament and Other Early Christian Literature*. Cambridge. Chicago, Illinois: The Cambridge University Press. The University of Chicago Press.
- იმნაიშვილი, ი. (1979). ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სარჯველაძე, ს. (2010). თეოფილაქტე ბულგარელი, თარგმანებად ლუკას სახარებისად. თბილისი: „ნეკერი“.
- შანიძე, ა. (1945). ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.). თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა.
- ციხელაშვილი, ლ. (2022). *მეტყველების წრის ზმნის პირიანი და უპირო ფორმების (მიმღებობების) გადმოტანა ბიბლიის ქართულ ვერსიებში (მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით)*. ლოგოსი, 8. თბილისი: „ლოგოსი“.
- ცქიტიშვილი, თ. (2010). თეოფილაქტე ბულგარელი, განმარტება იოანეს სახარებისა, I. თბილისი: „ნეკერი“.
- ქართული ოთხთავის აკადემიური ტექსტის (ლუკა, იოანე) ელექტრონული ვერსია <http://ogg.tsu.ge/>

The texts of the Gospels are characterized by the usage of one or two verbs and verbals (participles) of saying (*verba dicendi*) before the direct speech. This phenomenon is a Hebraism, peculiar of the Books of the Old Testament (in this case, we even find three forms of saying). Under the influ-

ence of Septuagint Greek, this phenomenon is also found in the New Testament (Blass et al., 1961). In such cases, the pleonastically used second form is the verb λέγω (“to say”) in the aorist or participle λέγων (present, active, nominative), which follow certain verbs of saying (as in the Septuagint): ἀποκρίνομαι “to answer”, κράζω “to cry out”, ἐπερωτάω “to ask”, λαλέω “to speak” a.o.

Out of the above-mentioned Greek verbs of saying: **a)** One can be a finite verb, and the other – a participle (ἀπεκρίνατο λέγων] *miugo q`ovelta da etq`oda* [Lk. 3:16 CODERPsBTLF mGMhSci] “answered, saying”; **b)** Both forms can be finite (καὶ ἠρώτησαν αὐτὸν καὶ εἶπαν] *hkitxes mas da hrques* [Jn. 1:25 CA<sup>d</sup>ODERPsBTLAFmGihvSclwtHIK...] “asked him, and said”; **c)** Both forms can be participles (κράζοντες καὶ λέγοντες...] *gagadebdes da itq`odes* [Matt. 9:27 CDERPFghik...] “crying out, and saying”. In the old Georgian translation of the Septuagint (preserved in the Bibles of Oshki (978-979) and Jerusalem (11<sup>th</sup> c.)) λέγων participle is given in the form of a finite verb, which is more natural for Georgian. In the Gelati Catena Bible (12<sup>th</sup>-13<sup>th</sup> cc.), where there is a precise, word for word translation, λέγων is translated by a participle (Tsikhelashvili, 2022). However, in the Georgian manuscripts of versions of the Holy Gospels of both the Pre-Athonite period and those of George the Hagiorite, **both forms of saying are represented by finite forms of the verbs**. Rendering of participles of this group by means of finite verbs is due to the fact that since the version/edition of George the Hagiorite (the so-called Georgian Vulgate, the middle of the 11<sup>th</sup> century), there have not been any new versions of the Gospels. Further elaboration of the text of the Gospels in the Hellenophile period is found only in exegetic works and is not aimed at the creation of new versions of the Gospels. Yet, it is interesting to observe the language of the Kimen (the text of the Gospels) of the ultra-Hellenophile style Georgian translation of the explanations by Theophylact of Bulgaria regarding the Holy Gospels according to St.Luke and St.John. As it was expected, the participle λέγων, used pleonastically in the Greek original text, like other participles, are rendered in the text by means of participles (albeit not always), whereas the old versions of the Gospels use finite verbs in the same places: Καὶ ἀποκριθεὶς ὁ ἄγγελος εἶπεν αὐτῷ] *miugo angelozman man da hrqua* [Lk. 1:19 CRPMFmGScltHIK...] *man*]-CF. *cf. da mimgebelman angelozman hrqua mas* “angel answering said”; κέκραγεν λέγων] *gagad-q`o da tqua*: [Jn. 1:15 CA<sup>d</sup>ODERPsBTLAFmGHik...] *gagat-q`o* CFHIK. *cf. gagadebda, metq`ueli* “cried, saying”.

Under the influence of the Biblical Greek, one and the same language phenomenon is found in Greek christian literature and its Georgian translations, as well as in the original Georgian hagiography (*da utxra sp`arsman man pa-*

*rulad da hrqua*: [St.ShuSh. 14:20-21] “and the Persian **told** him secretly and **said**”; *miuges da hrques mšobelta matta*: [Kol. 185:3] “their parents **answered** them and **said**”.

## References

- Abuladze, I. (Ed.).** (1964). *Dzveli kartuli agiografiuli literaturis dzeglebi*. [The Texts of the Old Georgian Hagiographic Literature]. I. Tbilisi: “Metsniereba”.
- ბლასი, ფ., დებრუნერი, ა. – Blass, F., Debrunner, A.** (1961). *A Greek Grammar of the New Testament and Other Early Christian Literature*. Cambridge. Chicago, Illinois: The Cambridge University Press. The University of Chicago Press.
- Imnaishvili, I.** (1979). *Kartuli otktavis ori bolo redaqlia*. [The Two Latest Georgian Versions of the Four Gospels]. Tbilisi: Tbilisi University Press.
- Sarjveladze, S.** (2010). *Teopilaqte bulgareli. targmanebaj Lukas sakharebisaj*. [Theophylact of Bulgaria. The Explanation of the Holy Gospel According to St.Luke]. Tbilisi: “Nekeri”.
- Shanidze, A.** (1945). *Kartuli otktavis ori dzveli redaqltsia sami shatberduli khelnatseris mikhedvit (897, 936, 973)*. [The Two Ancient Georgian Versions of the Four Gospels Based on Three Shatberdi Manuscripts (897, 936, 973)]. Tbilisi: Press of the Georgian SSR Academy of Science.
- Tsikhelashvili, L.** (2022). *Metqvelebis tsris zmnis piriani da upiro pormevis (mimghe-obevis) gadmotana bibliis qartul versiebshi (mtsire tsinastsarmetqvelta tsignevis mikhedvit)*. [Rendition of the Verbs and Verbals (Participles) of Saying in the Georgian Versions of the Bible (According to the Books of the Minor Prophets)]. Logosi, 8. Tbilisi: “Logosi”.
- Tskitishvili, T.** (2010). *Teopilaqte bulgareli. Ganmarteba ioanes sakharebisa*. [Theophylact of Bulgaria. The Explanation of the Holy Gospel According to St.John]. I. Tbilisi: “Nekeri”.
- The electronic version of the academic text of the Georgian Gospels (Luke, John): <http://ogg.tsu.ge/>